



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი
მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 40

25/04/2017

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 26-ე მუხლის პირველი პუნქტის , 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. 2017 წლის 26 აპრილს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ შექმნის შესახებ.
მომხსენებელი: ალიკო ვაკუა - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე
2. არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ რეორგანიზაციის განხორციელებაზე ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
3. „ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
მომხსენებელი: ლევან ჩიხლაძე - გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მუხლი 2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 აპრილის #40/39 ბრძანება „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ“

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე


საკრებულოს თავმჯდომარე